



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 7
25/01/2017

7-03-4-201701251926



განკარგულება №7
25 იანვარი 2017 წელი


ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით კონკურსის ჩატარების წესი (დანართი N1).
2. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის გერბსა და დროშაზე განთავსებული კომპოზიციებისა და ფიგურების ჩამონათვალის განმარტებები (დანართი N2)
3. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბისა და დროშის შექმნის მიზნით კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 30 იანვრიდან.
4. კონკურსის გამოცხადების, ჩატარების, გერბისა და დროშის მიღების სამუშაოების ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სიმბოლოების შემუშავებელ დროებით სამუშაო ჯგუფს (ნ. გოგუაძე).
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 აპრილის N34 განკარგულება.
6. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. განკარგულება ძალაშია დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა